ტომი 27

ზეპირი მოსმენის სხდომის

ო ქ მ ი

დავით სახვაძის, მარინე ცინცაბაძის, ჯუმბერ ხანთაძის, გიგო ჯანდიერის, რაულ გვეტაძის, გივი ინანიშვილის, ვანო თვალავაძის, რევაზ კანაშვილის, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივასა" და ირინა ღამბაშიძის ადმინისტრაციულ საჩივარზე

საქართველოს მთავრობის კანცელარია

ქ.თბილისი **26 სექტემბერი, 2013 წელი**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის, ამავე კოდექსის 112-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე–40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის შალვა თადუმაძის თავმჯდომარეობით და ამავე სამსახურის სპეციალისტის მალხაზ კიკაბიძის მდივნობით, ჩატარდა ზეპირი მოსმენა დავით სახვაძის, მარინე ცინცაბაძის, ჯუმბერ ხანთაძის, გიგო ჯანდიერის, რაულ გვეტაძის, გივი ინანიშვილის, ვანო თვალავაძის, რევაზ კანაშვილის, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივასა" და ირინა ღამბაშიძის №25411, №25527 და №25915 ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით, რომლითაც საჩივრის ავტორები ითხოვენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობას, ხოლო რაულ გვეტაძე, გივი ინანიშვილი, ვანო თვალავაძე და რევაზ კანაშვილი მოითხოვენ ასევე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანების ბათილად ცნობასაც.

სხდომა დაიწყო 16:20 სთ - ზე;

სხდომას ესწრებოდნენ:

საჩივრის ავტორები:

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლები ნინო გუჯარაიძე და ირმა მახათაძე

რაულ გვეტაძე, ჯუმბერ ხანთაძე, დავით სახვაძე, გიგო ჯანდიერი, ვანო თვალავაძე და რევაზ კანაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი - თემურ ჩიხრაძე

შპს „RMG Gold"-ის წარმომადგენლები - თეიმურაზ ოჩიგავა და ნიკოლოზ სისაური

სხდომაზე არ გამოცხადნენ საჩივრის ავტორები - ირინა ღამბაშიძე, მარინე ცინცაბაძე და გივი ინანიშვილი, რომელთათვის სხდომის დღე ცნობილი იყო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი – სოფიო სიჭინავა და ამავე სამსახურის მრჩეველი ფიქრია ზირაქაშვილი

სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე, ზეპირ მოსმენაში მონაწილეებს აცილება არ აქვთ.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე - იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილია სამი ადმინისტრაციული საჩივარი, სადაც დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობა, თანახმა იქნებით თუ არა, რომ ეს საჩივრები გაერთიანდეს ერთ ადმინისტრაციულ წარმოებად და განხილულ იქნეს ერთად? ადმინისტრაციული საჩივრის ავტორებმა განაცხადეს, რომ მათ აღნიშნულის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, უბრალოდ მათთვის მნიშვნელოვანი იქნება, რომ მიეცეთ თავისი აზრის გამოთქმის საშუალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხდომის თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრების ერთად განხილვის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის თანახმად, საჩივრის ავტორები მოითხოვენ, „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობას.

საჩივართან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოთქვეს მხარეებმა:

თავდაპირველად თავისი პოზიცია დააფიქსირა დავით სახვაძემ, რომელმაც გამოაქვეყნა ადმინისტრაციული საჩივარი, მხარი დაუჭირა მას და დამატებით განმარტა, რომ გასაჩივრებული ბრძანება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს,

ვინაიდან, მათ მიაჩნიათ, რომ მინისტრის მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. მოცემულ შემთხვევაში ეს გახლავთ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევა, სადაც მითითებულია, რომ უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით, სამინისტროში იქმნება სათათბირო ორგანო - საბჭო. მინისტრის მიერ იგნორირებულ იქნა კანონის ეს მოთხოვნა, ვინაიდან, მინისტრმა შექმნა თერთმეტკაციანი კომისია თავისი შეხედულებისამებრ და არა საბჭო, რომელსაც დაევალა შეესწავლა ობიექტისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ასევე დაევალა ძეგლის გადატანისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და მისთვის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება. ხსენებული კომისია შეიქმნა მიმდინარე წლის 28 მაისს, შეიკრიბა მეორე დღესვე და დაათვალიერა საყდრისის საბადო, რის შემდეგ 30 მაისს შედგა სხდომის ოქმი, რომელშიც სამმა მეცნიერმა დააფიქსირა თავისი პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ საჭირო იყო ძეგლის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ეს მაშინ, როდესაც კომპანია „RMG Gold"-ის განცხადებაში ასეთი რამ მითითებული არ ყოფილა. ამდენად, კომისიამ ისე, რომ მას არ ევალებოდა, ნაჩქარევად მიიღო გადაწყვეტილება, რაც მის ტენდენციურობაზე მეტყველებს. გარდა ამისა, მინისტრმა 2013 წლის 8 ივლისს, მას შემდეგ რაც მიიღო სადავო 5 ივლისის ბრძანება, წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და აცნობა, რომ საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით, უკვე განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშების შესწავლასთან ერთად, აუცილებლად იქნა მიჩნეული სპეციალისტთა დასკვნების მოპოვება შემდეგი მიმართულებით - გეოლოგია, საინჟინრო-გეოლოგია, ეკოლოგია, მეტალურგია. საგულისხმოა, რომ არც ერთი ამ მიმართულებით კვალიფიციური დასკვნა არ არსებობს, რომელიც სიმყარეს შემატებდა დასკვნაში მითითებულ გარემოებებს. ამასთან, დასკვნაში მთელი კატეგორიულობით არის მითითებული, რომ საყდრისში შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სპილენძის მოპოვება და იქ ოქრო არც ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაშინ როდესას ეს საბადო ცნობილია, როგორც ოქროს შემცველი და ამას ადასტურებს საქმეზე წარმოდგენილი რამდენიმე დოკუმენტი. ამდენად, სადავო ბრძანების გამოცემის დროს დაირღვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის წესი, რაც გამოიხატება იმაში, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და კვლევითი სამუშაოების ჩატარების გარეშე. შესაბამისად, ბრძანების საფუძველს წარმოადგენს არაკვალიფიციურად შედგენილი დასკვნა, რომელიც არ ემყარება არანაირ კვლევებს და მასში მოყვანილი გარემოებები არის დაუსაბუთებელი და ურთიერთსაპირისპირო. სინამდვილეს არ შეესაბამება დასკვნაში მითითებული არც ერთი გარემოება, არც ეკოლოგიის, არც მეტალურგიის, არც კომპანიის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების შესახებ, ვინაიდან, თუნდაც ამ ბოლო გარემოებასთან დაკავშირებით,

აღსანიშნავია, რომ საყდრისის მთა შეადგენს კომპანიის სალიცენზიო მინაკუთვნის მხოლოდ 5%-ს და შეუძლებელია, რომ მისმა აუთვისებლობამ მთლიანად კომპანიას შეუქმნას ფინანსური პრობლემები. ამასთან, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით კომპანიაში დასაქმებულია არა 3000, არამედ მხოლოდ 633 ადამიანი. ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიას შეგნებულად შეჰყავს შეცდომაში, როგორც საქართველოს პრემიერი-მინისტრის, ასევე თავად მინისტრი, როდესაც აწვდის ამ მონაცემებს. გარდა ამისა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ კომისია შექმნილი იყო არაკანონიერად. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებები, კი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა გიგო ჯანდიერმა მხარი დაუჭირა ადმინისტრაციულ საჩივარს და დამატებით განმარტა - როდესაც სახელმწიფოს გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ასეთი ძეგლი, თუნდაც ეს ძეგლი იყოს სადავო, საკითხის განხილვის დროს წინა პლანზე უნდა დადგეს იმ მტკიცებულებათა და ფაქტობრივ გარემოებათა ნუსხა, რომელიც უარყოფს ან დაადასტურებს ამ ობიექტის არსებობს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი აზრით სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ამ შემთხვევაში იურიდიული გარემოებანი, რომელიც ამჟამად პირველხარისხოვანია, საჩივრის ავტორებისთვის, ანუ ჩვენთვის მეორე ხარისხოვანია. აღნიშნული ძეგლი არის საქართველოს კუთვნილება და მისი განადგურება ასე ხელაღებით არ შეიძლება და ამისი უფლება არავის არ მოუცია ჩვენთვის. საგულისხმობა, რომ პირადად მე ვსწავლობდი ამ ობიექტს და ფაქტია, რომ ეს არის ოქროს საბადო და მინისტრი შეყვანილია შეცდომაში. ამასთან, შესაძლებელია იურიდიული საკითხები მართლაც საჭიროებდეს უფრო მაღალ დონეზე განხილვას, თუმცა მთავარი მაინც არის ის, რომ ძეგლი იქნეს შენარჩუნებული.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა რაულ გვეტაძემ მხარი დაუჭირა ადმინისტრაციულ საჩივარს და დამატებით განმარტა, რომ იურიდიულ საკითხებში რა თქმა უნდა ისინი არ ჩაერევიან, თუმცა არსებობს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ", რომლის მიხედვით ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების, ასევე მოხსნის საკითხებს იხილავს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო. ამ შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება არ მიუღია, რაც კანონდარღვევას წარმოადგენს. ამასთან, თერთმეტკაციანი კომისიის მიერ შედგენილ დასკვნას სამმა ხელი არ მოაწერა, თუმცა ვინც ხელი მოაწერა, ის მეცნიერებიც კი აღიარებენ, რომ საყდრისის ობიექტი არის მე-4 ათასწლეულის ძეგლი, შესაბამისად, გაუგებარია, რატომ ხდება ამ ძეგლისთვის სტატუსის მოხსნა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონის დარღვევა განხორციელდა სამინისტროს მხრიდან. ამასთან, სადავო ბრძანებით დადგინდა, რომ 3 დღის ვადაში პრეზიდენტს უნდა გაგზავნოდა დოკუმენტაცია ობიექტისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მოხსნასთან დაკავშირებით, რაც

არასწორია, ვინაიდან, სანამ მინისტრის ბრძანება არ შევიდოდა ძალაში, იქამდე სამინისტროს არ ჰქონდა უფლება საქართველოს პრეზიდენტისათვის გადაეგზავნა დოკუმენტაცია და მოეთხოვა კატეგორიის გაუქმება. აქვე აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად სამინისტროს პოზიცია წარმოდგენილია მინისტრის პირველი მოადგილის ხელმოწერით, ხოლო შემდეგ მთავრობის კანცელარიის მიწერილობის საფუძველზე წარმოდგენილ იქნა დასკვნა მინისტრის ხელმოწერით, სადაც მითითებულია, რომ თითქოს საჩივრების ავტორები არ არიან დაინტერესებული პირები, რაც არასწორია, ვინაიდან, მას კულტურის სფეროში აქვს შესრულებული რამოდენიმე სერიოზული ნაშრომი და აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენს სწორედაც რომ დაინტერესებულ მხარეს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ საყდრისის საბადო წარმოადგენს საქართველოსთვის მნიშვნელოვან კულტურულ ობიექტს დ მისი დაკარგვა დაუშვებელია, აღნიშნულს აღიარებს არა მხოლოდ ქართველი, არამედ გერმანელი მეცნიერებიც, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც წარმოდგენილია საქმეში. ასევე უსაფუძვლოა დასკვნაში მითითებული გარემოებები, რომლებიც არ ემყარება არანაირ კვლევებს, პირიქით საქმეში წარმოდგენილია მეცნიერთა დასკვნები, რომლებითაც დასტურდება საყდრისის ობიექტის, როგორც მნიშვნელოვანი კულტურული ობიექტის არსებობის ფაქტი, სადაც მოიპოვებოდა ოქრო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მომავლისთვის აუცილებელია საყდრისის ობიექტის, როგორც უძრავი ძეგლის შენარჩუნება.

საჩივრის ავტორმა ჯუმბერ ხანთაძემ მხარი დაუჭირა საჩივარს და განმარტა, რომ დავა იმის შესახებ, აღმოჩენილი მაღარო ოქროს მომპოვებელია თუ სპილენძისა, დაიწყო სულ რაღაც 2 თვის წინ, თუმცა კვლევები მიმდინარეობს დაახლოებით 9 წლის მანძილზე. აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრებს დღემდე არ გაუპროტესტებიათ აღნიშნული. თუმცა, დღეს, როდესაც ეს მოხვდა კომპანია „RMG Gold"-ის ინტერესებში, მაშინ დაიწყეს ამაზე ხმაური.

საჩივრის ავტორმა ვანო თვალავაძემ ასევე მხარი დაუჭირა ადმინისტრაციულ საჩივარს და დამატებით განმარტა - როდესაც კომისია იქმნებოდა, მასში თავიდანვე ჩადებული იყო რომ იგი იქმნებოდა იმისთვის, რათა შესწავლილიყო რამდენად სამართლიანად ჰქონდა 2006 წელს ობიექტს უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული და ასევე უძრავი ძეგლის გადატანისათვის რეკომენდაციის შემუშავებისთვის. უნდა ითქვას, რომ კომისიამ იზრუნა იმაზე, რომ კვლევა-ძიება არ ჩატარებულიყო და დასკვნითი ნაწილის მე-3 პუნქტში მიუთითა, რომ თითქოსდა საზოგადოების უსაფრთხოების თვალსაზრისით შეუძლებელი და დაუშვებელი იყო ძეგლზე არათუ კვლევა-ძიების ჩატარება, არამედ ვიზიტორების დაშვებაც კი, რითაც პრაქტიკულად აუკრძალეს მეცნიერებს იქ შესვლა და კვლევების ჩატარება. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს სამინისტროს დასკვნაში მითითებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საჩივრის ავტორები თითქოს ვართ არაუფლებამოსილი პირები. ამასთან, მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ

სამინისტრომ სადავო ბრძანების გამოცემის მეორე დღეს მოაწყო შეხვედრა, სადაც ძეგლთა დაცვის საკითხებზე 1 მლნ. ევრო გამოყო ევროკავშირმა და ამ შეხვედრაზე თავად მინისტრის, მისი მოადგილისა და ნატო ცინცაბაძის მიერ აღინიშნა, რომ საქართველო კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა და საზოგადოების შესახებ კონვენციის ხელისმომწერია, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ ძეგლთა დაცვით დაინტერესებული არასპეციალისტების აზრიც უნდა გაითვალისწინონ (აქვეყნებს წერილს), კულტურის ძეგლები არის რესურსის ჯგუფი, რომელსაც ხალხი მიიჩნევს ღირებულად და პროფესიონალებს არ გამოყოფს ცალკე. თუმცა ამ განმარტებების შემდეგ, გასაკვირია, რომ სამინისტროს მიერ უგულველყოფილი იქნა აღნიშნული დებულება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული თანხა გამოიყო იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს ძეგლთა დაცვა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, თუმცა ჩნდება კითხვები იმის შესახებ, არის თუ არა სადავო ქმედებები მიმართული ძეგლთა დაცვისაკენ. ასევე ეჭვს ბადებს, სამინისტროს ნაჩქარევი ქმედებები ძეგლის გაუქმებასთან დაკავშირებით. ამასთან, თუ არ ენდობიან ქართველ მეცნიერებს, უნდა დაელოდონ უცხოელ მეცნიერებს, რომლებიც ჩამოვლენ და ჩაატარებენ შესაბამის კვლევებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამინისტროს ქმედება დაემსგავსება 90 წლის წინ მომხდარ უდიდეს სირცხვილს, რომელიც ჩაიდინეს ბოლშევიკებმა და რომელიც ძალიან გავს კომპანია „RMG Gold"-ის და სამინისტროს დღევანდელ ქმედებას.

რევაზ კანაშვილმა მხარი დაუჭირა ასევე ადმინისტრაციულ საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. ამასთან, წარმოადგინა წერილობითი მოსაზრება, რომელიც დაერთო საქმეს. საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმეზე წარმოდგენილი ექსპერტების - ნ.შეყრილაძისა და ალ.თვალჭრელიძის დასკვნები არის მიკერძოებული. ამასთან, ისინი არიან არაპროფესიონალები, რის გამოც დაუშვებელია გაზიარებულ იქნეს მათი პოზიცია.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა (გამგეობის წევრი) ნინო გუჯარაიძემ მხარი დაუჭირა ადმინისტრაციულ საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. ამასთან, მან გამოაქვეყნა ადმინისტრაციული საჩივარი და დამატებით განმარტა, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის სადავო ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო მინისტრის 2013 წლის 28 მაისის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის დასკვნა. შესაბამისად, კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებისა და თავად კომისიის დასკვნის კანონიერების საკითხი განხილული უნდა იქნეს გასაჩივრებულ ბრძანებასთან ერთად, ვინაიდან, ეს არის ერთიანი პროცესი და მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხილვა დაუშვებელია.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა ირმა მახათაძემ მხარი დაუჭირა საჩივარს და თავდაპირველად გააკეთა განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ზეპირი

მოსმენა არის ღია, თუმცა საქართველოს მთავრობის კანცელარიაში შემოსვლის დროს მათ შეხვდათ გარკვეული პრობლემები შენობაში შემოსვლასთან დაკავშირებით, რაც კანონდარღვევას წარმოადგენს და რასაც მომავალში აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. ასოციაციის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და შესაბამისად, მასზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება. ხსენებული კოდექსის თანახმად, აუცილებელია განიმარტოს, თუ რა წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში, სამინისტროს მიერ სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, გახდა კომპანია „RMG Gold"-ის განცხადება, რომელიც წარდგენილ იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე, რომელიც შემდგომში უკვე გადაეცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. აღნიშნული ასევე დასტურდება, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე მინისტრის მიერ გაგზავნილი წერილით. თუმცა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტი განმარტავს, თუ რა არის განცხადება. ამ მუხლის თანახმად, განცხადება არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც განმცხადებელი მოითხოვს რაიმე უფლების მოპოვებას ან სარგებლის მიღებას. მოცემულ შემთხვევაში კომპანია „RMG Gold" თავის განცხადებაში მოითხოვს უძრავი ძეგლის გადატანას, შექმნილი ეკონომიკური პრობლემების გამო და არა რაიმე უფლების მინიჭებას. რაც შეეხება ზემოხსენებული კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს, კოდექსის 60[1] მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ბათილად სცნოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის შემთხვევაში აქტს ბათილად სცნობს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო სარჩელის შემთხვევაში სასამართლო. განსახილველ შემთხვევაში, 2013 წლის 5 ივლისის სადავო ბრძანებით მოხდა, 2006 წლის 30 მარტის ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და ფაქტია, რომ ძეგლს სტატუსი მოეხსნა, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ ფაქტიურად მოახდინა აქტის ბათილად ცნობა კომპანია „RMG Gold"-ის განცხადების საფუძველზე, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული და დაშვებული. რა თქმა უნდა ზოგადად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს თავადვე გამოაცხადოს ბათილად მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში „RMG Gold"-ის განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემდეგ ის არ იყო უფლებამოსილი ბათილად ეცნო 2006 წლის 30 მარტის ბრძანება უძრავი ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების შესახებ. რაც შეეხება მინისტრის ბრძანებას, რომლითაც შეიქმნა კომისია, მხარეთა განმარტებით კომისია იყო არაუფლებამოსილი. უნდა განიმარტოს, რომ არც აღნიშნული ბრძანება კომისიის შექმნის შესახებ და არც კომისიის დასკვნა არ წარმოშობს ცალკე სამართლებრივ

შედეგს და შესაბამისად, ისინი განხილული უნდა იქნეს ერთობლიობაში 2013 წლის 5 ივლისის ბრძანებასთან ერთად, ვინაიდან, ის არის წინმსწრები სამართლებრივი აქტი და არის მისი შემადგენელი ნაწილი. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს სზაკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომელიც მიუთითებს, რომ ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაში სახეზეა მინისტრის ბრძანება, რომლითაც შეიქმნა კომისია კონკრეტული მიზნით. კომისიის დასკვნა რომ სამართლებრივი აქტი არ არის, ეს დასტურდება თავად ამ დასკვნით, რომელიც ცალკე არ წარმოშობს რაიმე შედეგს დაინტერესებული მხარისათვის და შესაბამისად, არ ჯდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციაში.

სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ იქნა, რომ დასრულდა სამუშაო დრო და განმარტებულ იქნა, რომ თუ მხარეები თანხმობას განაცხადებდნენ, შესაძლებელი იყო ზეპირი მოსმენის გაგრძელება სამუშაო საათების დასრულების შემდეგაც. აღნიშნულზე მხარეებმა თანხმობა განაცხადეს, რის გამოც სხდომის თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გაგრძელების შესახებ.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლის განმარტებით, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ" ქვეპუნქტის თანახმად, კულტურის უძრავი ძეგლი არის მატერიალური კულტურის ძეგლი ან მისი ნაწილი, რომელიც ისტორიულად ფუნქციურად და კომპოზიციურად შერწყმულია გარემოსთან და რომლის გადაადგილება შეუძლებელია ან დაკავშირებულია რთულ საინჟინრო ღონისძიებებთან და გაუმართლებელია მეცნიერულად ეთიკური და სხვა თვალსაზრისით. თუმცა რატომღაც კომპანია „RMG Gold"-ი მიიჩნევს, რომ უძრავი ძეგლის გადატანა შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 30 მარტის ბრძანებით საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი, ხოლო სადავო ბრძანებით მოეხსნა აღნიშნული სტატუსი, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება აღნიშნული უფლებამოსილება განეხორციელებინა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით, ვინაიდან, საჯარო უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს მინიჭებული, მან არ უნდა განახორციელოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რადგან, ამ შემთხვევაში სახეზე გვექნება მმართველობის ორგანოს მიერ განხორციელებული თვითნებობა, რაც რა თქმა უნდა დაუშვებელია. ამასთან, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ითვალისწინებს უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნის პროცედურებს, რომლის თანახმად, ძეგლისათვის სტატუსის მოხსნა დასაშვებია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, ამ მუხლით

განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ საერთოდ არ გამოიკვლია ძეგლისათვის სტატუსის მოხსნისათვის კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობა. ამდენად, სამინისტროს და ასევე კომისიას საერთოდ არ შეუსწავლია, წარმოადგენდა თუ არა საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მაღარო კულტურის უძრავ ძეგლს, რითაც დაირღვა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები. ასევე აღსანიშნავია, რომ კომისიამ არ გამოითხოვა და არ განიხილა ეროვნული მუზეუმის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც საფუძლად დაედო ძეგლისათვის სტატუსის მინიჭებას. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება მიიღო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე, იგი დაეყრდნო კომისიის დასკვნას, რომელიც არის არაკომპეტენტური და არაუფლებამოსილიც, ვინაიდან მასში მონაწილეობას ღებულობდნენ დაინტერესებული პირები, რომელთა მონაწილეობაც საქართველოს ზოგადი ადმინსტრაციული კოდექსის 92–ე მუხლიდან გამომდინარე, დაუშვებელი იყო. ამასთან, სადავო აქტის გამოცემისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლისა და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნები. ის ფაქტი, რომ სადავო ბრძანების გამოცემის შემდეგ, ამ ფაქტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არაერთმა მეცნიერმა და სპეციალისტმა დააფიქსირა და შესაბამისი დასკვნებიც წარადგინა სამინისტროში, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბრძანების გამოცემამდე პროცესი სამინისტროში გაიმართა დახურულად, რითაც დაირღვა როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობის ნორმები.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საჩივრებს, მხარი დაუჭირა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის დასკვნას და დამატებით განმარტა, რომ ვერ გაიზიარებს იმ მოსაზრებას, თითქოს დაინტერესებული მხარეები არ იყვნენ ჩართული სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესში, ვინაიდან, ამ სხდომაზე დამსწრე პირთაგანაც კი რამოდენიმე ესწრებოდა შეხვედრებს, მათ შორის იყო ირინა ღამბაშიძეც. აღნიშნული გარემოება დაადასტურა ასევე ჯუმბერ ხანთაძემ. გარდა ამისა, სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, ის ვერ დაეთანხმება ასევე მითითებას იმის შესახებ, რომ ძეგლს სტატუსი მოეხსნა, ვინაიდან, ძეგლს სტატუსი არ მოხსნია, არამედ ბათილად იქნა ცნობილი ის ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი, რომლითაც ობიექტს მიენიჭა ძეგლის სტატუსი. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქტის ბათილად ცნობას და სტატუსის მინიჭებას აქვთ სხვადასხვა სამართლებრივი პროცედურები. სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, ძირითადი საფუძველი, რომლის მიხედვითაც ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 30 მარტის ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ის, რომ იმ დროს საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭება განხორციელდა კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

კერძოდ, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის – „კულტურული მემკიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იმისათვის რომ ობიექტს მინიჭებოდა ძეგლის სტატუსი, ჯერ მას უნდა ჰქონოდა ძეგლის ნიშანი, რის შემდეგ უნდა მომზადებულიყო სააღრიცხვო დოკუმენტაცია, უნდა შემდგარიყო პასპორტი და უნდა გატანილიყო კულტურული მემკვიდრეობის კომისიაზე მეცნიერებათა აკადემიაში. სამინისტროს მიერ მოთხოვნილ იქნა ზემოხსენებული ინფორმაცია აკადემიიდან, თუმცა მიიღეს პასუხი იმის შესახებ, რომ აკადემიაში არანაირი მსგავსი დოკუმენტაცია არ ინახებოდა. ამის შემდეგ, სამინისტროს მიერ განხორციელდა ზემოხსენებული დოკუმენტაციის მოძიება როგორც არქივებში, ასევე ეროვნულ მუზეუმში, თუმცა ვერსად აღნიშნული დოკუმენტაცია ვერ იქნა მოპოვებული. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, ისიც, რომ კომისიის სხდომაზე ქალბატონ ირინა ღამბაშიძეს ეთხოვა წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები, თუმცა მან განაცხადა, რომ სამინისტროს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტი, რომელიც ჩაბარებული იქნებოდა სამინისტროში არ არსებობს. ამის შემდეგ ირინა ღამბაშიძე კიდევ რამოდენიმეჯერ იყო მოწვეული კომისიის სხდომაზე, სადაც კომისიის წევრების მიერ დასმულ კითხვებს პასუხი ვერ გაეცა. უფრო მეტიც, მის მიერ წარმოდგენილი იქნა არაკომპეტენტური ნამუშევრები, რომლითაც საერთოდ არ დასტურდებოდა მაღაროში ოქროს არსებობა. ირინა ღამბაშიძეს დაევალა წარმოედგინა არქიტექტურული ანგარიშები, რომლებიც მის მიერ წარმოდგენილ იქნა არასრული სახით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილ ანგარიშებში იყო რამოდენიმე უზუსტობაც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, მისივე განმარტებით, ზეპირ მოსმენაზე ადმინისტრაციული საჩივრის ავტორების მიერ ვერ იქნა მითითებული ვერც ერთი გარემოება, რომელიც დაადასტურებდა სადავო ბრძანების კანონსაწინააღმდეგობას. აქვე აღსანიშნავია, რომ საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტს იცავს არქეოლოგიური ზონა, არქეოლოგიური ობიექტი კანონით არის დაცული და მისი დაზიანება ისჯება, შესაბამისად, იმაზე საუბარი, რომ ძეგლის სტატუსის მოხსნით აღნიშნული ობიექტი განადგურდა, არის არაკვალიფიციური განმარტება, ვინაიდან, კანონის შესაბამისად, სანამ არქეოლოგიური ობიექტი არ ალაგდება ის არის დაცული, იმ შემთხვევაშიც კი თუ არქეოლოგიური ზონა მოიხსნება. რაც შეეხება კატეგორიას, კატეგორია ენიჭება ძეგლს, ვინაიდან, საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტს მოეხსნა ძეგლის სტატუსი, შესაბამისად, მას ავტომატურად მოეხსნა ასევე კატეგორიაც, რაზეც უკვე გამოიცა სათანადო აქტი. ამდენად, ვერ იქნება გაზიარებული ადმინისტრაციული საჩივრის ავტორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის სადავო ბრძანების გასაჩივრების ვადის გასვლამდე, დაუშვებელი იყო ძეგლისთვის კატეგორიის მოხსნა.

შპს „RMG Gold“–ის წარმომადგენელი ნიკოლოზ სისაური არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საჩივრებს და განმარტა, რომ 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, რომლითაც ძალადაკარგულად

გამოცხადდა მანამდე მოქმედი კანონი და ასევე ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომლითაც კონკრეტული ობიექტები გამოცხადდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად. იმის გამო, რომ მითითებული ობიექტები ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ, დარჩა სამართლებრივი რეგულირების გარეშე, 2006 წლის 30 მარტს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა ბრძანება, რომლის მთავარ მიზანს წარმადგენდა ყოფილი კულტურის უძრავი ძეგლებისთვის სტატუსის აღდგენა, რომელშიც გაურკვეველი მიზეზების გამო აღმოჩნდა საყდრისი–ყაჩაღიანის მაღაროც, რომელსაც მანამდე არანაირი სტატუსი და კატეგორია მინიჭებული არ ჰქონია. შესაბამისად, თავის დასკვნაში კომისიამ დააფიქსირა პოზიცია, რომ მინისტრის 2006 წლის 30 მარტის ბრძანება საყდრისი–ყაჩაღიანის ნაწილში იყო უკანონო. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, დღეს სხდომაზე არ არის საუბარი იმაზე სადავო ობიექტი იმსახურებს ძეგლის სტატუსს თუ არა, აქ საუბარია იმაზე, რომ 2006 წელს ჩადენილი იყო კონკრეტული კანონდარღვევა, რომელზე რეაგირებაც უნდა მომხდარიყო. ამდენად, 2013 წლის 5 ივლისის სადავო ბრძანება კანონიერია და არ უნდა იქნეს ბათილად ცნობილი.

შპს „RMG Gold"–ის წარმომადგენელი თეიმურაზ ოჩიგავა დაეთანხმა ნიკოლოზ სისაურის მოსაზრებას და დამატებით განმარტა, რომ ფაქტიურად დღევანდელ სხდომაზე მხარეების მიერ ყურადღება გამახვილდა მხოლოდ იმ გარემოებაზე, უნდა ჰქონდეს თუ არა საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტს ძეგლის სტატუსი და ფაქტიურად არ იყო მსჯელობა ბრძანების იურიდიულ მხარეზე, რაც არაპირდაპირ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თავად ადმინისტრაციული საჩივრების ავტორებიც თანხმდებიან იმაზე, რომ საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტს უკანონდ მიენიჭა ძეგლის სტატუსი და უკანონოდ აღმოჩნდა 2006 წლის 30 მარტის მინისტრის ბრძანების დანართში. ამდენად, უდავოა. რომ 2013 წლის 5 ივლისის სადავო ბრძანებით, აღმოიფხვრა ის კანონდარღვევა, რასაც ადგილი ჰქონდა 2006 წლიდან. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, სადავო ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემისას, მასზე ვერ გავრცელდებოდა ის პროცედურა, რაც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე, ხომ არა აქვთ მხარეებს ერთმანეთის მიმართ კითხვები, რაულ გვეტაძის კითხვაზე – ხომ არ არის მიზანშეწონილი, რომ დღეს მინისტრმა საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტს მიანიჭოს ძეგლის სტატუსი, რადგანაც ის არის მოქცეული არქეოლოგიურ ზონაში, სამინისტრო იცავს თუ არა არქეოლოგიური ზონას? საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი პასუხობს, რომ არქეოლოგიურ ზონას იცავს კანონი, ამასთან, სანამ არქეოლოგიური ზონა არსებობს მას იცავს შესაბამისი რეჟიმი, ხოლო თუ ზონა არ იარსებებს, არქეოლოგიური ობიექტი სანამ იარსებებს ის დაცული იქნება სხვა სამართლებრივი აქტებით.

გიგო თვალავაძის კითხვაზე – „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–40 მუხლის თანახმად, არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული ობიექტის განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრული სამეცნიერო სამუშაოების ჩატარებას, აქედან გამომდინარე, საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტის უსაფრთხოება დაცული უნდა ყოფილიყო აქამდე, ამჟამად დაცული არის თუ არა და დაწყებულია თუ არა სამუშაოები? შპს „RMG Gold“–ისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები პასუხობენ, რომ არქეოლოგიური ზონის შიგნით კომპანიის მიერ არავითარი სამუშაოები არ მიმდინარეობს, თუმცა უნდა განიმარტოს რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ზონის შიგნითაც დასაშვებია ისეთი სამუშაოების განხორციელება, რომელიც არ დააზიანებს ძეგლს.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე აცხადებს, რომ კომპანიისა და სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თითქოს ჩვენს მიერ არ იქნა გამახვილებული ყურადღება იმაზე, რომ სადავო ობიექტს კანონის დარღვევით მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი, რაც გახდა შემდგომში გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის ერთადერთი საფუძველი და აღნიშნულით აღმოიფხვრა კანონდარღვევა, თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არის კომისიის დასკვნა მოხსენიებული სადავო ბრძანების გამოცემის საფუძვლად და იურიდიული პროცედურის დარღვევისთვის, რის საფუძველზე შედგა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გეოლოგები, არქეოლოგიური და დარგის სხვა სპეციალისტები, თემურ ჩიხრაძე პასუხობს, რომ ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების კანონიერების საკითხი შეისწავლა იურიდიულმა დეპარტამენტმა და ვინაიდან, კომისიის ერთ–ერთი წევრიც იყო თვითონ, განსახილველად წარედგინა კომისიასაც, გარდა ამისა, კომისიამ სამართლებრივი საკითხის გარდა ბევრი სხვა საკითხიც შეისწავლა, მათ შორის ძეგლის გადატანის მიზანშეწონილობის საკითხები. ამასთან, მინისტრის ბრძანების მიღების საფუძველი ვერანაირად ვერ იქნება გეოლოგების დასკვნა, ვინაიდან, აქ საუბარია კანონდარღვევით გამოცემული აქტის ბათილობაზე.

დავით სახვაძის კითხვაზე – მიმდინარეობს თუ არა სამინისტროში სადავო ბრძანების მე–3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურები, ობიექტისათვის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით? თემურ ჩიხრაძე პასუხობს, რომ მისთვის აღნიშნულის შესახებ ცნობილი არ არის, თუმცა ალბათ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორები დამეთანხმებიან, რომ კარგი იქნება თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ არტეფაქტებს მიენიჭებათ მოძრავი ძეგლის სტატუსი. აქვე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმოამდგენელმა განმარტა, რომ დღეს საქართველო პრემიერი–მინისტრთან გაიმართა შეხვედრა საყდრისი–ყაჩაღიანის ძეგლის გარშემო

წამოჭრილ პრობლემასთან დაკავშირებით და მეცნიერებათა აკადემიას დაევალა რეკომენდაციის მომზადება. შესაბამისად, მხოლოს ამის შემდეგ გადაწყდება ამ ობიექტს უნდა მიენიჭოს მოძრავი თუ უძრავი ძეგლის სტატუსი, ან მოხდება თუ არა მისი გადატანა.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე – თქვენ უთითებთ, რომ საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტი უკანონოდ მოხვდა 2006 წლის 30 მარტის ბრძანების ნუსხაში, ეს რამდენად შესაძლებელია და რა გარემოებების არსებობის შემთხვევაში არის შესაძლებელია, ადმინისტრაციული ორგანოს ან საჯარო მოხელის მიერ მსგავსი ქმედების განხორციელება? საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი პასუხობს, რომ ჩემი აზრით სავარაუდოდ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მოხდა ამ ობიექტის მიბეჭდვა ბრძანებაში, ვინაიდან, 2006 წელს არანაირი დოკუმენტი არ არის შემოსული სამინისტროში, რომელიც დაადასტურებდა ძეგლის არსებობას.

სოფიო სიჭინავას კითხვაზე – 2006 წლის 30 მარტის ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, უძრავი ძეგლისთვის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო იყო კომისიის დასკვნის არსებობა, აქედან გამომდინარე, არსებობდა თუ არა რაიმე დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა ძეგლის არსებობას ან არარსებობას და მეორე, საყდრისი–ყაჩაღიანის საბადოს მსგავსად, სხვა შემთხვევაც ხომ არ დაფიქსირებულა, როდესაც შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე რომელიმე ობიექტს მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი? სამინისტროს წარმომადგენელი თემურ ჩიხრაძე პასუხობს, რომ არანაირი დოკუმენტი სამინისტროში დაცული არ არის, ამასთან, მხოლოდ საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტი არის ერთადერთი ობიექტი, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ აღმოჩნდა ბრძანების დანართში.

სოფიო სიჭინავას კითხვაზე – 2006 წლის 30 მარტის ბრძანების გამოცემამდე არსებობდა თუ არა სხვა აქტი, სადაც შეიძლებოდა შეტანილი ყოფილიყო საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტი და საერთოდ, როგორც ხდებოდა გამოიცემოდა ცალკე ბრძანება უძრავი ძეგლის მინიჭებაზე და თუ ნუსხაში უნდა ყოფილიყო აუცილებლად შეტანილი? სამინისტროს წარმომადგენელი თემურ ჩიხრაძე პასუხობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოგროვდებოდა რამოდენიმე ობიექტი ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად, ამ შემთხვევაში ერთიანი ბრძანების დანართში მოხდებოდა მათი ასახვა, თუმცა შესაძლებელი იყო ცალკე ბრძანების გამოცემაც. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, არც ერთი აქტი არ არსებობდა, რომელშიც სადავო ობიექტს მინიჭებული ექნებოდა ძეგლის სტატუსი.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე, რა ურთიერთობა არსებობდა ირინა ღამბაშიძესა და შპს „RMG Gold"-ს შორის? კომპანიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მათთვის ცნობილი არ არის რა ურთიერთობა არსებობდა მათ შორის, თუმცა

როგორც მისთვის ცნობილი იყო კომპანიის ვებ.გვერდზე გამოქვეყნებული იყო ირინა ღამბაშიძის სტატია კონკრეტულად საყდრისის ობიექტთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარის მიერ სხდომის დარბაზში მყოფი დამსწრე პირი გაფრთხილებულ იქნა წესრიგის დაცვის შესახებ, ხოლო შემდეგ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 111–ე მუხლის მე–6 ნაწილის თანახმად, გაძევებულ იქნა დარბაზიდან.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე – ოქროს მადნის ე.წ. შახტური მეთოდით მოპოვება, როგორ აისახება კომპანიის ინტერესებზე და რამდენად შესაძლებელია, მისი მოპოვება, საბადო არის თუ არა ამისთვის რენტაბელური? შპს „RMG Gold"-ს წარმომადგენელი პასუხობს, რომ შახტური მეთოდით მოპოვება არის ეკონომიკურად უფრო ძვირი, ამასთან, ჯერ–ჯერობით კომპანიისთვის არ არის ცნობილი რა შემცველობის ქანებია განთავსებული, შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, მადნის შახტური მეთოდით მოპოვება მომგებიანი იქნება თუ არა.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე – სამინისტროს დასკვნაში მითითებული აქვს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორები არ წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეებს, რა არგუმენტაციაზე დაყრდნობით აცხადებთ, რომ გასაჩივრებული აქტი პირდაპირი და უშუალო გავლენას არ ახდენს მათ უფლებებსა და ინტერესებზე, სამინისტროს წარმომადგენელი თემურ ჩიხრაძე პასუხობს, რომ სადაო ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ჩანაწერი საყდრისი–ყაჩაღიანის ობიექტისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. აღნიშნულით საფრთხე არ შექმნია ძეგლის ფიზიკურ მდგომარეობას, რა თქმა უნდა ძეგლის მდგომარეობას რომ შექმნოდა რაიმე საფრთხე, მაშინ ნებისმიერ მოქალაქეს უფლება ექნებოდა გაესაჩივრებინა ასეთი აქტი. ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია რა ზიანი ადგებათ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორებს გასაჩივრებული ბრძანებით.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის რაულ გვეტაძის განმარტებით, იგი არის მეტალურგი, კულტურის დარგში აქვს სერიოზული შრომები, რის გამოც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ჩვენ მივიღეთ მინისტრის პირველი მოადგილის დასკვნა, სადაც არ არის დაყენებული ეჭვქვეშ ის გარემოება, ვართ თუ არა დაინეტერსებული პირები, ხოლო შემდგომში უკვე მინისტრის მიერ გამოგზავნილ წერილში, აღნიშნული პოზიცია დაფიქსირებულია, რაც არასწორია.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი დავით სახვაძე სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე დაინტერესებულ მხარესთან დაკავშირებით, განმარტავს, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–9 მუხლი მათ

უფლებას ანიჭებს, დაიცვან კულტურული მემკვიდრეობა და იზრუნონ მის შენარჩუნებაზე.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე განმარტავს, რომ ასოციაცია არის გარემოსდამცველი ორგანიზაცია, ხოლო „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად, კულტურული მნიშვნელობის ობიექტების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას, შესაბამისად, სადავო საკითხი არის არა მხოლოდ კულტურული მნიშვნელობის საკითხი, არამედ გარემოსდაცვითი საკითხიც, რომელთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებისა და დაინტერესებულ მხარედ არსებობის მტკიცებას ჩვენ არ გვთხოვს ზემოხსენებული კონვენცია. ამასთან, ასოციაციის წესდებაც გვაძლევს იმის მანდატს, რომ განვახორციელოთ აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები.

ირმა მახათაძის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182–ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს არაუფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის შეტანის შედეგებს, რაც არ უნდა გავრცელდეს განსახილველ შემთხვევაზე, ვინაიდან, აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, დაინტერესებული პირის განმარტება სხვაა და არაუფლებამოსილი პირის განმარტება სხვა. მოცემულ შემთხვევაში, როგორც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი და ასევე ზემოაღნიშნული კონვენცია ნებისმიერ პირს ანიჭებს უფლებას მონაწილეობა მიიღოს და გაასაჩივროს კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები. კულტურული მემკვიდრეობა ყველასია და ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია, მასთან დაკავშირებით მიღებული უკანონო გადაწყვეტილების გასაჩივრება.

სხდომის თავმჯდომარს კითხვაზე – როგორც აღნიშნეთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კომპანია „RMG Gold“-ის განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, რის შემდეგ გამოიცა ბრძანება კომისიის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაშიც საჩივრის ავტორების განმარტებით შედიოდნენ დაინტერესებული პირები, აღნიშნული გარემოების დადასტურების პირობებში უნდა მომხდარიყო თუ არა კომისიის შექმნის შესახებ ბრძანების ცალკე გასაჩივრება და მეორე, იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო არ გაიზიარებდა დასკვნაში მითითებულ გარემოებებს და მიიღებდა დასკვნის საპირისპირო გადაწყვეტილებას, ამ შემთხვევაშიც დადგებოდა თუ არა კომისიის შექმნის შესახებ ბრძანების, დასკვნის და მინისტრის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების

კანონიერების ერთობლივად განხილვის საკითხი? ირმა მახათაძე პასუხობს, რომ დასკვნა არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს და ის იქნებოდა დადებითი თუ უარყოფითი, არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს მხარისათვის და არანაირ ზიანს არ აყენებს მხარის ინტერესებს. რაც შეეხება კომისიის შექმნის შესახებ მინისტრის ბრძანებას, ეს არის ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი, მაგრამ თავისთავად ამ აქტს ზიანი არ მიუყენებია არავისთვის. კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირები არიან ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეები, რომლებსაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92–ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე ეკრძალებოდათ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე – საყდრისის ობიექტი როდის იქნა აღმოჩენილი, ჯუმბერ ხანთაძე პასუხობს, რომ ეს ობიექტი აღმოჩენილ იქნა 2004 წელს კომპანია „RMG Gold"-ის მიერ საძიებო სამუშაოების განხორციელებისას. შემდეგ უკვე დაიწყო ქართველი არქეოლოგების მიერ მისი შესწავლა და აღმოჩნდა, რომ აღმოჩენილი გვირაბები იყო ადამიანის ხელით გაკეთებული გვირაბები, რომელიც კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ეს იყო მადანმომპოვებელი მაღარო და გამოითქვა მოსაზრება –ჰიპოთეზა, რომ ეს იყო ოქროს მომპოვებელი მაღარო, რაც შემდგომში გამყარდა სამეცნიერო ნაშრომებით.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე, მხარეებს ერთმანეთის მიმართ კითხვები აღარ აქვთ. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სხდომის დასრულების შესახებ და მხარეებს განემარტათ, რომ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებოდათ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომა დაიხურა 20:45 სთ - ზე.

სხდომის თავმჯდომარე **შალვა თადუმაძე**

სხდომის მდივანი **მალხაზ კიკაბიძე**